სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 1 დეკემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ვ. სლოვენიის წინააღმდეგ – განაცხადი №26971/07*

აპლიკანტები არიან: დ.ვ. და მისი ქმარი ი.ვ.. ისინი არიან სლოვენიის მოქალაქეები. საქმე ეხება 2003 წლის ივნისში დ.ვ.-ს ქალიშვლის, X-ისა (რომელიც სხვა პარტნიორისაგან შეეძინა) და მათი ვაჟის, Y-ის მზრუნველობის ქვეშ აყვანას, რაც მათი ქალიშვილის (Y-ის ტყუპისცალის) საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებას მოჰყვა, რის შედეგადაც მათ აეკრძალათ კონტაქტის უფლება. ორივე მშობელი 2009 წლის სექტემბერში ბრალდებულად სცნეს მათი ქალიშვილის დაუდევრობით მკვლელობაში. დ.ვ. ასევე სცნეს ბრალდებულად ბავშვისათვის მძიმე ფიზიკური დაზიანებების მრავალჯერ მიყენების გამო. მათ მიუსაჯეს: ერთს 8 წლითა და 6 თვით პატიმრობა, ხოლო მეორეს – 3 წლით პატიმრობა. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

- *ანდრიევსკა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №34036/06*

აპლიკანტი ტამარა ანდრიევსკა უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს პავლოგრადში (უკრაინა). ის ჩივის, რომ მას არ მიეცა საშიალება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეეტანა სარჩელი, რომელიც მის ყოფილ დამქირავებელს ეხებოდა. იგი ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობისგან ითხოვდა კონკრეტული საპენსიო თანხის გადახდას. განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და განმცხადებელს მიაკუთვნა 2000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 80 ევრო ხარჯების დასაფარად.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- *ბაზალტ იმპეკსი, უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №39051/07*

საქმე ეხება აპლიკანტი კომპანიის საჩივარს იმის თაობაზე, რომ უზენაესი სასამართლო გასცდა თავისი იურისდიქციის ფარგლებს მათი და ინტერნეტ-კომპანიას შორის დავის განხილვისას, რომელიც ეხებოდა კონტრაქტის გაუქმებასა და საკუთრების დაბრუნებას. განმცხადებელი კომპანია მიუთითებს, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.